

ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება



მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფსიქოლოგიის მაგისტრი

კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: თინათინ ფანცულაია

საკონტაქტო ნომერი: თინათინ ფანცულაია 577 54 00 69

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება“ გამორჩეულია იმით, რომ ფსიქოლოგიის მაგისტრისთვის აუცილებელი ცოდნის მიღებასთან ერთად, ის სტუდენტს აძლევს საშუალებას სიღრმისეულად დაეუფლოს გამოყენებითი ფსიქოლოგიის ორ მიმართულებას: ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკას და ფსიქოლოგიურ კონსულტირებას/თერაპიას.

პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 2 წელი. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 120 ECTS კრედიტი, ამასთან შეასრულოს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო პირობა.

პროგრამაში შედის:

- 60 კრედიტის მოცულობის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები
- 30 კრედიტი (მინიმუმ) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები
- 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი

პროგრამა აგებულია შემდეგი სტრუქტურის მიხედვით: პირველი სემესტრი ეთმობა ბაზისურ საგნებს, რომელთაც აქვთ ორი ძირითადი ფუნქცია: 1. შეუქმნას მომავალ მაგისტრს ფსიქოკონსულტირების საორიენტაციო ძირითადი რუკა ფსიქოკონსულტირების კერძო მიმართულებებისთვის;

2. უზრუნველყოს პრობლემათა (ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული, ნეიროფსიქოლოგიური, ფსიქოსომატური) დიფერენცირების შესაძლებლობა.

მეორე სემესტრი მოიცავს ფსიქოკონსულტირების (ჯგუფური, წყვილების, კონსულტირება სტრესის დროს) და დიაგნოსტიკის (კლინიკური ინტერვიუ, რორშახის ტესტი) საგნებს, რომელიც ამზადებს სტუდენტს პრაქტიკის ნაწილისთვის და კვლევითი ნაშრომისთვის.

მესამე სემესტრი დათმობილი აქვს ფსიქოკონსულტირების კერძო არჩევით მიმართულებებს - თეორია და პრაქტიკა, კონტრაქტორ ფსიქოლოგიურ ცენტრებთან და კლინიკებთან, სუპერვიზია ფსიქოკონსულტირებისას - პრაქტიკაზე არსებული შემთხვევების განხილვა, სუპერვიზირება.

მეოთხე სემესტრი - სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი, როგორც შედეგი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების. განხორციელდება სტუდენტის მიერ ხელმძღვანელთან ერთად.

სახელმწიფო და კერძო დაფინანსების მქონე სამედიცინო და ფსიქოლოგიური პროფილის ორგანიზაციები, ცენტრები, რომლებიც მუშაობენ შემდეგი მიმართულებით:

- ფსიქიკური ჯანმრთელობა, რეაბილიტაცია, დიაგნოსტიკა-ექსპერტიზა;
- ფსიქოლოგიური კონსულტირება, ფსიქოლოგიური შეფასება.

სამაგისტრო საფეხურის შემდეგ სტუდენტს შეძლებს სწავლის გაგრძელებას განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა დაშვების წინაპირობაც ითვალისწინებს ფსიქოლოგიის მაგისტრის დიპლომს.

1. მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

მოამზადოს კლინიკური ფსიქოლოგიის დარგის ორი კერძო მიმთულების (ფსიქოდიაგნოსტიკა და ფსიქოკონსულტირება) სპეციალისტები, რომლებსაც ეცოდინებათ ფსიქოდიაგნოსტიკისა და ფსიქოლოგიური კონსულტირების სტრუქტურა, შეეძლებათ შეაფასონ კლიენტის/პაციენტის მდგომარეობა, ადეკვატურად განსაზღვრონ რელევანტური კონსულტირების ფორმა და გაუწიონ მათ განსხვავებულ სიტუაციებში კონსულტირება ტრანსფერული უნარების გამოყენებით და პროფესიული ღირებულებების საზღვრების გათვალისწინებით. გაუწიონ თავიანთ კოლეგას სუპერვიზირება/კონსულტაცია.

პროგრამა ასევე ემსახურება ფსიქოდიაგნოსტიკის და ფსიქოკონსულტირების დარგების განვითარებას, საზოგადოების ჯანსაღი ფსიქიკური მდგომარეობის შენარჩუნების ხელშეწყობას, კლიენტთან/პაციენტთან, როგორც საზოგადოების წევრთან, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვითა და კვალიფიციური პროფესიული მომსახურეობის გაწევის შესაძლებლობით.

2. სწავლის შედეგები

ფსიქოლოგიური კონსულტირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის სწავლის შედეგები:

კოგნიტიური სფერო

- ა. აღწერს ფსიქოკონსულტირების, ფსიქოდიაგნოსტირების, სუპერვიზიის პროცესის ძირითადი კომპონენტების სტრუქტურას;
- ბ. აკეთებს კლიენტთა/პაციენტთა პრობლემის იდენტიფიცირებას პირველადი ინტერვიუს (Intake) საშუალებით;
- გ. შეუძლია ფსიქოლოგიური პრობლემის ფსიქიკური აშლილობის, ნეიროფსიქოლოგიური, ფსიქოსომატური წარმოშობის სიმპტომატიკის დიფერენცირება.
- დ. ქმნის კლიენტის/პაციენტის ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესახებ ჩანაწერს (ფსიქოპორტრეტი) ინტერვიუს პროცესში მოვლენათა ერთმანეთთან დაკავშირების, მონაცემების გაანალიზების და დასკვნის გაკეთების საფუძველზე).

აფექტური (ემოციური) სფერო

- ე. აჩვენებს ეფექტური კომუნიკაციის მზაობას კლიენტის/ პაციენტის მონათხრობის (პრობლემის) მიმართ; (არის მიმღებლური და ავლენს ემპათიას; დროულად რეაგირებს (უკუკავშირი, ინტერპრეტაცია, მხარდაჭერა და სხვა) პაციენტის/კლიენტის ემოციური მდგომარეობის შესაბამისად;
- ვ. მოქმედებს პროფესიული ეთიკის ფარგლებში, (კერძოდ პაციენტთან ურთიერთობისას უზრუნველყოფს ინფორმირებულ თანხმობას, კონფიდენციალობის საზღვრების დაცვას, პაციენტის შესახებ საკმარის და ზედმეტი ინფორმაციის მოპოვების დიფერენცირებას, კლიენტის/პაციენტის შეხედულებების, ღირსების პატივისცემას);

ფსიქომოტორული სფერო

- ზ. ატარებს კვლევას დამოუკიდებლად კლინიკური ფსიქოლოგიის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, საერთაშორისო სტანდარტის დაცვით, მონაცემთა სანდოობის უზრუნველყოფით.
- თ. კონსულტირების და დიაგნოსტირების პროცესს წარმართავს დამოუკიდებლად. (პროცესში არის თავისუფალი, ბუნებრივი, კუკავშირი კლიენტთან/პაციენტთან არის ლოგიკური და თანმიმდევრული, არის მაქსიმალურად კლიენტზე ორიენტირებული).

3. შეფასების სისტემა

სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ დავალებებს, ამზადებს პრეზენტაციას, მონაწილეობს დისკუსიებში და ერთვება ყველა სხვა აქტივობაში, რაც აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად.

100 ქულის განაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე. ამასთან, გამოკითხვის სახე, სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

100 ქულა					
შუალედური შეფასება - 60 ქულა			დასკვნითი შეფასება - 40 ქულა		
შეფასების კომპონენტები	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შეფასების კომპონენტი	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
ყოველკვირეული/სასემინარო შეფასებები	20	8	დასკვნითი წერიტი გამოცდა	40	21
პრეზენტაცია	10	4			
შუალედური გამოცდა	30	8			

ყოველ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

შეფასების სისტემა, პროგრამის ყოველი კომპონენტისათვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

4. პროგრამაზე მიღების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ ფსიქოლოგიის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მისაღებ გამოცდებს სპეციალობასა და ინგლისურ ენაში - B2 დონეზე. ქულათა წილობრივი გადანაწილება გამოცდებისთვის - სპეციალობა -70, უცხო ენა-30) გამოცდა სპეციალობაში გულისხმობს: დარგის შესაბამის პროფესიულ ესეს; ბაკალავრიატის GPI შეფასებას; პროფესიით დასაქმებულობის მაჩვენებლის შეფასებას. უცხო ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ენის დონის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატს ან რომელსაც ინგლისურ ენოვან პროგრამაზე მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც დასტურდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, დაიშვებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, შესაძლებელია, შიდა მობილობის წესით ჩარიცხვა. ვადები, პროცედურები და შესაბამისი, დამატებითი საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის აქტით და შიდა მობილობის პროცედურების დაწყებამდე გონივრული ვადით ადრე თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, ასევე, შესაძლებელია, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.sangu.edu.ge.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები მოცემულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და გათვალისწინებულია ლექციებისა და სემინარების ორგანიზება, რომელიც აერთიანებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს და აქტივობებს:

დისკუსია/დებატები; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; შემთხვევის ანალიზი (Case Study); სწავლების შედეგების მისაღწევად, ფსიქოლოგიური კონსულტირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას ადეკვატური მეთოდების შერჩევა ხორციელდება, თანმიმდევრულად - სწავლის მიზნების, შედეგების, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით.

პრაქტიკის პროცესში სწავლება: მიმდინარეობს პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად: კონსულტაციები, მისი მითითებებისა და მიცემული დავალებების შესრულება, სამეულებში მუშაობა (კონსულტანტი, კლიენტი, დამკვირვებელი) და დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატით (განხორციელებული პირველადი ინტერვიუს (ინთეიქის) წერილობითი სახით მომზადება.

დიაგნოსტიკის პრაქტიკა(კლინიკური ინტერვიუს და რორშახის ტესტის ჩატარება) კლინიკის ბაზაზე პაციენტებთან. მასალის დამუშავება (ინტერვიუს ჩანაწერის მომზადება, ფსიქოგრამის აგება, მონაცემთა ინტერპრეტაცია და აშშ.) შესრულებული სამუშაოს აღწერა ხდება პრაქტიკის დღიურში და პრაქტიკის დასრულების შემდეგ პრაქტიკის ანგარიშის წარდგენა.